სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის N71/2014 დადგენილებით განსაზღვრული თსუ პოსტდოქტორანტურაში არასაკონკურსო ფორმით - ინდივიდუალური წესით მიმღები კომისიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის N128/2013 დადგენილებით (http://tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2013/1282013/) დამტკიცდა ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტურის (პოსტდოქტორანტად დასაქმების შესახებ) დებულება“, „პოსტდოქტორანტურის სამეცნიერო დარგების/მიმართულებების ნუსხა“ და „პოსტდოქტორანტის კონკურსითა და ინდივიდუალური ფორმით ექსპერტის მიერ შეფასების წესი“. ხსენებული დადგენილებით განისაზღვრა პოსტდოქტორანტურაში არასაკონკურსო ფორმით - ინდივიდუალური წესით მიღების პირობები, ხოლო აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის N71/2014 დადგენილებით (http://tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/712014/) გამოცხადდა თსუ პოსტდოქტორანტურაში არასაკონკურსო ფორმით - ინდივიდუალური წესით მიღება 2014 წლის 1 სექტემბრიდან - მუდმივმოქმედი (უწყვეტი) მიღების რეჟიმში და დამტკიცდა შესაბამისი მუდმივმოქმედი კომისია.

გაუწყებთ, რომ თსუ პოსტოქდოტარანტად მუშაობის მსურველებმა კომისიის თავმჯდომარის სახელზე უნდა წარმოადგინონ განცხადება და ზემოთმოყვანილი დადგენილებებით განსაზღვრული დოკუმენტაცია სრულფასოვანი და სრულყოფილი სახით, თსუ პირველი კორპუსის (ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1) N113 ოთახში, ყოველ სამუშაო დღეს 12^{00} საათიდან 13^{00} საათამდე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორისა და სისრულის შემოწმებას მოახდენს კომისიის მდივანი, რომელიც უფლებამოილია შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში დადგენილი წესით მოითხოვოს არსებული ხარვეზის აღმოფხვრა.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ელიაშვილი - რექტორის მოადგილე.